კვირა 17 იანვარი 1916 წ. ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 3

როგორ გამოება საქმეს თავი

ეს სურათი მოთავსებული იყო „სახალხო ფურცლის“ საახალწლო დამატებაში, მაგრამ, როგორც სახალხოელთ სჩვევია საქმეს თავი ვერ გამოაბეს.

ქ. გორის საზოგადოებამ ადვილათ ახსნა „სახალხო ფურცლის“ ალეგორიული სურათი და მით საქმეს თავი გამოაბა.

ნინოობა.

დღეს ნინოობაა.

ჯერ მარტო აქ, თბილისში, 29 ნინოს ვიცნობ.

ნება მიბოძეთ ამ 29 ნინოს შესახებ ცოტაოდენი სტატისტიკური ცნობები მოგაწოდოთ.

ერთი პირობით კი: არამც და არამც ბ. თევდორე ღლონტმა ჩემი რიცხვები თავის ფელეტონებისათვის არ ისარგებლოს, თორემ საქართველოში დიდი უბედურება დატრიალდება:

29 ნინოზე 29 ოთხვეერდიანი ფელეტონი დაიწერება ამ სათაურით: „ნინო და ფედერალიზმი“, ხოლო ამ მოვლენას, ეჭვი არ არის, საზარელი შედეგები მოჰყვება:

ჯერ ერთი, რომ ქაღალდის ისეთი კრიზისი დადგება, რომ თავის დახწევა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნება: მართლია, ქაღალდი შაქარი ხომ არ არის, ბაქოს ჯაბარი გაგზავნო და ორ დღეში ორი ათასი ვაგონი ჩამოგირბენინოს.

შემდეგ მელნისა და სტამბის საღებავის კრიზისი...

მაგრამ ამას თავი დავანებოთ და თვით ავტორის გონებრივი ენერგია ვიანგარიშოთ:

ბ. თედორე ღლონტის გონებრივი ენერგია ანუ შემოქმედებითი ძალა, ჩვენის ანგარიშით (მეოცე საუკუნის,—ამ ტეხნიკის ხანის ენით რომ ვსთქვათ), უდრის 40 ცხენის ძალას. ესოდენი ძალაც რომ სავსებით აამუშაოს, ზემოხსენებული 29 ფელეტონის დაწერას 20 დღეს მაინც მოუნდება. ეხლა თვით ბ. თევდორემ გამოთვალოს, რამდენი ცხენის ძალა უნდა დაეხარჯოს მას ამ ოცი დღის მუშაობაში.

ეს კიდევ არაფერი. ყველაზე მნიშვნელოვანი და აუნაზღაურებელი ზარალი სხვაგან უნდა ვეძიოთ:

თუ ბ. „Нар“ ის სტატისტიკურ ცნობას, „Кавк. Сл.“-ს წლიურ მიმოხილვაში რომ გამოაქვეყნა „სახალხო ფურცელის“ შესახებ ხუთათ გავყოფთ (იმედია ბ. ცენზორი ამის ნებას მოგვცემს სიმართლესთან რამდენათმე დასაახლოვებლად), მაშინ ამ გაზეთის მკითხველთა რიცხვი 20000 უნდა ვიანგარიშოთ. წარმოვიდგინოთ, რომ ამ ოცი ათას მკითხველში მეხუთედი ბოლომდე წაიკითხავს ბ. თევდორეს ფელეტონებს. მაშინ „სახალხო ფურცელს“ დაეხოცება 4000 მკითხველი და დარჩება 16000. ვიანგარიშოთ, რომ ამ „ნაშთის“ (ახალ საარითმეტიკო ტერმინოლოგიას ვსარგებლობ) ნახევარი ათიოდე ფელეტონს მაინც წაიკითხავს. ამისდა გვარათ „სახალხოს“ დარჩება 8000 მკითხველი, რადგან ნახევარს უეჭველათ ტვინის სიობილე დაემართება, ასე რომ აღარც „სახალხოს“ მკითხველათ გამოდგება. ბოლოს, ვთქვათ, დანარჩენების მეოთხედმა მეხუთე ფელეტონზე თავი დაანება კითხვას, რადგან აშკარათ იგრძნო შავი მელანქოლიის უტყუარი ნიშნები. მაშინ „სახალხოს“ დარჩება მხოლოდ 6000 შედარებით საღი მკითხველი (ვამბობ, შედარებით მეთქი, რადგან ვფიქრობ, რომ ერთ-ორ ფელეტონს ყველა მათგანი გადაავლებს თვალს), ასე რომ „Кавк. Сл.“-ს მიმომხილველი კვლავისთვის იძულებული გახდება თავის სტატისტიკაში ოდნავი შესწორება შეიტანოს...

მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა! მეცნიერული ძიების სალღერღელი ამეშალა და საგანი კი დამავიწყდა!

მაშ, ნება მიბოძეთ, იმ ჩემ 29 ნაცნობ ნინოს შესახებ მცირე რამ სტატისტიკური ცნობები გაგიზიაროთ.

ეროვნება			გარეგნობა			ოჯახ. მდგ.			წლოვანობა		
ქართვ.	სომეხი	რუსი	ლამაზი	რიგიანი	გონჯი	გაუთხოვ.	გათხოვილი	ქვრივი	1—15 წ.	15–25	25 წ. ზეტი
19	4	6	1	7	21	17	10	2	5	?	?!?

როგორც ხედავთ, ჩემი ცხრილის ორ უკანასკნელ უჯრაში კითხვითი ნიშნები ზის. უმორჩილესათ გთხოვთ, ამ გარემოებას ნუ მიაწერთ ჩემს უძლურებას, როგორც სტატისტიკოსისას, და ნუ იფიქრებთ, რომ მე ყოველივე მეცნიერული (და არა მეცნიერულიც) საშვალება არ მეხმაროს ამ კითხვითი ნიშნების თავიდან ასაცილებლათ.

მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით მეცნიერებას ვერ უპოვია ისეთი საშვალება, რომ 15 წლისაზე გადაცილებულ ასაკის ქალის წლოვანობა გამოარკვიოს.

ეს ხომ ყველასაგან ცნობილია, რომ, რაკი ქალი 15 წელიწადს გადაცდება, სამეტრიკო მოწმობა დაუყონებლივ ეკარგება ხოლმე. მაშასადამე

მკვლევარი იძულებული ხდება ანკეტს, ან პირად დაკითხვას დაემყაროს. მეც ასე მოვიქეცი, მაგრამ ის, რაც ამ საშვალებამ გამოარკვია ყოვლად დაუჯერებელი და აბსურდული რამ არის.

მაგალითად, ორი ისეთი ქალი მარწმუნებდა, 20 წლისაზე მეტის არა ვართო, რომელთაგან პირველს მეოცდაცამეტეჯერ ვულოცავ სახელის დღეობას, ხოლო მეორის უფროსი ვაჟი პრაპორშჩიკების შკოლას ათავებს ამ დღეებში.

ჭეშმარიტათ — „ქალი თავის წლოვანობის მეტს ვე[…]ა საიდუმლოს ვერ დამალავს“...

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ეროვნების უჯრებია.

აქ ნათლად მტკიცდება ჩვენი ოფიციალური სტატისტიკის უბადრუკობა და ძირიან ფესვიანათ ითხრება ის გამეფებული ცრუ აზრი, რომლის მიხედვით ქ. თბილისის მცხოვრებთა უმრავლესობას სომხები შეადგენენ, მათ ვითომ მისდევს—რუსები და შემდეგ ქართველები.

ჩემი ცხრილი ნათლათ ამტკიცებს, რომ თითქმის 60% თბილისის მცხოვრებლებისა ქართველებია, 24% რუსები, ხოლო 16% სომხები.

მაგიერში გარეგნობის უჯრები, როგორც ხედავთ, სამწუხარო შედეგებს იძლევა:

29 ნინოში— მხოლოდ ერთი ლამაზი ნინო!

მე დარწმუნებული ვარ, ჩემი ნაცნობი ნინოების უმეტესობა ამ ჩემ გამოკვლევას წაიკითხავს და მაინც არ მეშინია სიმართლის აღიარებისა.

არ მეშინია, რადგან კარგათ ვიცი ქალის ფსიხოლოგია: თითოეული იმ ოცდაცხრათაგანი, რაკი ლამაზთა უჯრაში ციფირ 1-ს დაინახავს, წამშივე შეურყეველათ გადასწყვეტს, რომ ის ერთი ლამაზი თითონ არის.

გაეხარდება კიდეც, რომ იმ უჯრაში „1“ ზის და არა მეტი და იტყვის:

— ყოჩაღ, თაგუნა! განა მე კი არ ვიცოდი, რომ თაგუნას ფაქიზი და უტყუარი ესთეტიური გემოვნება ჰქონდაო!

ნეტარ არიან მორწმუნენი და დიდება წმინდასა გულუბრყვილობასა!..

ეხლა კმარა ლაპარაკი ყველა ნინოებზე საზოგადოთ და დროა ავიღოთ (თუ ავიყვანოთ) მხოლოდ ქართველი ნინოები კერძოთ.

იმ 19 ქართველ ნინოში, ცოდვა გამხელილი სჯობია, ნამდვილი ნინო არც ერთი არაა: ყველანი ნინას და არა ნინოს უწოდებენ თავის თავს.

რაც შეეხება გვარს, მხოლოდ სამი ნინას გვარს აქვს ქართული დაბოლოება, დანარჩენთა გვარი კი „ова“-ზე ბოლოვდება.

12 ამ 19-დან ილიას სიტყვებს „მამულო საყვარელო, შენ როს-ღა აყვავდებიო“ თარგმნის: „Имѣнiе дорогое, когда же ты расцвѣтешь?“

15 ცხრამეტთაგანი აჭარლებსა და რაჭველებს ერთმანეთში ურევს და დარწმუნებულია, რომ რიონი მტკვარს ერთვის ქალაქ არაგვის მიდამოებში.

ეს იმიტომ რომ ის 15 ნინო ნასწავლები არიან.

დანარჩენ ოთხს კი, თუმცა სასწავლებელში არ მიუღია განათლება, მაგრამ ძალიან ეტყობათ ჩვენი ეროვნული კულტურის გავლენა.

მაგალითად, ტრამვაის ვაგონში რომ სხდებიან და ცარიელ ადგილებს ეძებენ, ასე მიმართავენ ხოლმე ერთმანერთს:

— ნინო, ქალო, აქ მო!

— ქა, მანდ რა მინდა? ვერა ხედავ ტერნი სხედან? ორნი სად უნდა დავეტიოთ?

— ტერნი კი არა, ამბო სხედან, ქალო რას ამბობ?..

და როცა „ამბოს“ გვერდით მიუსხდებიან და ამისდა გვარათ „კვატერნას“ გააკეთებენ, თუ ვინმე მეხუთემ სცადა მათ გვერდით დაჯდომა, ცხარე პროტესტს გამოაცხადებენ:

— დავოლნა!—აფუსფუსდებიან ჩვენი ნინოები.

კმარა,—ვიტყვით ჩვენც, აქ შევწყვეტთ მეცნიერულ გამოკვლევას და ჩვენს წერილს მილოცვით დავაბოლოვებთ:

— მრავალს დაესწარით, ყველა ჩემო ნაცნობო 29 ნინო, განურჩევლათ ეროვნებისა, გარეგნობისა, ოჯახურ მდგომარეობისა და წლოვანობისა! მომილოცნია დღეობა!

განსაკუთრებით კი შენთვის, ერთად ერთო, რომელიც ლამაზთა უჯრაში ზიხარ მარტოთ მარტო.

თაგუნა



მგელი და გლეხი

ერთ ქართველ გლეხ-კაცს,
მსუნაგმა მგელმა
(გაუმაძღარმა
და საძაგელმა!)
მოსტაცა ღორი თორმეტის დედა,
და შეუჭამა იქვე, სერზედა.

გოჭები, ობლათ დარჩენილები,
(მგლისაგან შეჭმულ
ღორის შვილები)
ჭყვირილით შეხვდენ ამ ტრაღედიას
და მით გაუკრთეს ძილი ტეტიას.

გოჭთა მტირალთა ხმა განაგონი,
წამოხტა მყისვე
ღორის პატრონი
და დაედევნა კვალს მტაცებლისას,
იმ უსინდისო, ვერაგი მგლისას.

ყოველი კუთხე მიმოვლო სოფლის...
ხვითქი გადადის
ჭირისა ოფლის,
მაგრამ ვერ ჰპოვა მან დანაკარგი,
თუმცა მანძილი ირბინა კარგი...

და როს გავიდა სოფლისა ბოლოდ
ღორის ნაშთს მაშინ
წააწყდა მხოლოდ.
მგელი კი ლაღი და გამაძღარი
ტყის პირად იყო უკვე წამდგარი.

გლეხ-კაცი გახლდათ თვითცნობიერი...
კაცი კეთილი
და ლმობიერი,
მაგრამ ამ მძიმე სანახაობამ,
სიხარბემ მგლისამ და სულხაობამ,

ის აღაშფოთა,
ის აღაღელვა,
მიბრუნდა მგლისკენ, ვითარცა ელვა,
და მიაძახა მტაცებელს, მსუნაგს:
„—შენ ვერ მიაღწევ,
ძმობილო, ბუ'აგს!
ყაჩაღობაში სრულ-ხელოვანი
ჰკუით ყოფილხარ მცირე-წლოვანი!
ალბათ ცოდვებმა გამოგიწია
უმათ რო სჭამე
ღორის წიწია!
არა გცოდნია კუჭს როგორა სწყენს...
აწ, პროფესორიც ველარ მოგარჩენს!!
მტაცებლობაში
თუ ხარ ნაგეში,
გარჩევაც გქონდეს სანოვაგეში!“
მიაძახა მგელს
და გამობრუნდა...
— ნიშნის მოგებაც ასეთი უნდა!

ეშმაკი.



აკოთას წერილი ცოლთან.

(წერილი ბრძოლის ველიდან)

ბაროვ შუშან! კაკ პაკივაიშ? რასა იქ დაროგორა ხარ! პაზდრავლაიუ ნოვი გოდ ი ნოვი სჩასტია! ცალუიუ იზ დალოკი სტარანა ტებია, ჩემო შუშანჯან, გენაცვალე სულის კლიტეში. დაი ბოლ კაენი გოდ ნოვი გოდ. თუ ჩემს ამბავს იკითხავ, სლავა ბოლუ, პაკა ჟივომ ი ხლებ კუშიმ. მართალია ბევრი უდივიტელნი რამეები გადამხდა, მაგრამ ჯანაბას ჩემი თავი, ოლონდ შენა მყვანდე კარგათ ჩემო სიცოცხლის კარაბადინო. ქალაქიდან რომ წამოგვიყვანეს პრამათ კიევში ჩამოველით. მერე სრაზუმ პრიკაზი მოგვივიდა პერედნი პოზიციაზე უნდა წახვიდეთო. ერთბაშათ ელდა მეცა, მაგრამ რას ვიზამდი! ავიკარი გუდა ნაბადი, ვახსენე წმინდა მესროფის მადლი, გამოვისახე პირჯვარი და წაველი. მივდივარ, მაგრამ გული ისეთ ნაირათა სცემს, გეგონება დროგის ცხენი მირბის ტროტროზეო. ვა, ხუმრობა ხომ არ არის, აბეზატელნი სიკვდილი მიდგა რაღა წინ! რისა უნდა შამშინებოდა როცა კრუგომ იარაღში ვიჯექი, მაგრამ რომ მომგონდა, შე ჟულიკო, შენი გიშრის თვალები, სერებრენი ზუბი, ალერსი, პროშტი... ხომ გახსოვს ერთხელ წახლი რომ მკარი და კრაოტიდან გადმამაგდე ხუმრობით. ეს ამბები რომ მომაგონდა სრაზუმ საფეთქელში დამკრა სისხლმა, მაგრამ რას ვიზამდი წაველი წინ. რამდენიც წინ

მივდივარ, იმდენი შიშით მუხლები მეკრება და უკანა ვრჩები. ახლა შენ მითხარი შუშანჯან, ხუმრობა არის! სიკვდილს პირი დაუღია გველაშაპივით და მე წინ მივდივარ რაღა რომ ხახაში ჩაუვარდე. უკან ჩამოვრჩი. მინდოდა იქვე ტყეში დავმალულიყავი, მაგრამ თანაც შამეშინდა. უცებ იმ პირ ძაღლმა მელამ გადამირბინა წინ და შიშით კინაღამ გავთავდი! ორ ცეცხლ შუა ჩავვარდი რაღა! ამ დუმიტში რომ ვარ ერთიც ვნახოთ კამანდერმა არ დაიყვირა! „ახტი სუკინსინ აკოფ ტი ღდე სპრიაჩიშსაო, შტო ტი ბაიშსაო. ნა ქვეით უბან კაენი ვასკრესენი დრალსა გავარიტა ზდეეს სპრიაჩიშსა ი ასკარბლაიშ ტიფლისო“ თურმე ქალაქში ნამსახური ყოფილა და აშკარათ მიცნო რაღა! „იდი პეროდ ატო ია ტებე ზადამო“ დამიყვირა. რაღას ვიზამდი წაველი წინ. მივდივარ მაგრამ ფეხებს თურქულიანი კამბეჩივით მივათრევ, შაგი დამიპატარავდა. ისეთ აკურატნი დამწკი შაგებს ვაკეთებ გეგონება პარიჟანკაოო. კამანდერმა შამამიბღვირა და მერე სრაზუმ დაიყვირა: „სტრელაიტე, რებიატა, რუჟო, პულამეტრი, ყუმბარ, ზარბაზანუ ი ვზარვაიტი აკოფიო“. ვზარვაიტი აკოფაო რომ გავიგონე შიშით ულვაშის ძირები გამითეთრდა. ვყვირი:—ვაში ბლაღაროდია, ზაჩემ ნა მენე სტოლკი ყუმბარ სტრაჩაიტე მეთქი, ესლი ია მინავათ მენე ი ადინ პული ხვატიტ მეთქი. ნო ია ეე ნე მინავათ მეთქი. პაქალეიტი მოი შუშაანიკ მეთქი და დავიწყე ღრიალი. კამანდერი მიყვირის: „მალჩა ტი ეშაკო“, მაგრამ მე უფრო უმატებ ყვირილს, რომ იქნება შავებრალო მეთქი და ვზარვაიტი აღარ მიყონ მეთქი. თურმე კამანდერი ლემენცების კანავებს ეპარება და მე რა ვიცი! აკოფიო რომ გავიგე მე ჩემი სახელი მეგონა და რა ვიცოდი თუ აკოფი კანავებსა ჰქვიოდა! ამ ჩემ ყვირილზედ წამოცვივდნენ ლემენცები და დაგვერივნენ. იმისთანა კრივი გაიმართა, რომ ქვეით უბანი დამავიწყდა. იმ გაჯავრებულ ჯულზედ ვისაც კი დავარტყი იმ პივით გაბერილ ღიპზედ სულ კუდით ქვა ვასროლინე. ჩხუბი რომ გათავდა კამანდერმა სამი ზახრაბუსტის მენდალი

სრაზუმ ჩამამკიდა გულზე. რომ მნახო, შუშანჯან, ტიფლისკი რემესლენი გალავა გეგონები იმდენი მკიდია მენდლები. თუ ცოცხალი ჩამოველ ქალაქში მაშინ ნახე ჩვენი უჩასტკის გარადოვების სეირი! აბა ახლა ჩამაგდონ ზა რეშოტკაში თუ ბიკები არიან! მართლა, შუშანჯან, მე გავიგე, რომ შენ თურმე სდარდობ და სტირი. კაკ ტებე ნი სტიდნა! ქალს შენისთანა მენდლიანი გეროი ქმარი ჰყვანდეს და კიდენ ტიროდეს!! რისა გეშინიან, ხომ იცი რომ მე ჭკვას არსად არ წავაგებ. შენ ხომ იცი მე მანდაც მოუსვენარი და ჰაკარაკი რამ ვიყავი. გახსოვს ერთხელ კატას შუალამისას თვალები რომ დაეჭყიტა და დაგლეჯას გვიპირებდა, ხომ ნახე როგორ მამენტალნათ დავახალე ჩემი მაუზერკი ლევროვი! მერე ლევროვის ნაშენიის სვიდიტელსტვაც არა მქონდა ისე ერთბაშათ გავაგდე შუალამისას! გარადოვის რომ დავენახე ციმბირს გადამაცილებდა! ხუმრობა ხომ არ არის ურაზრეშენიოთ შუალამისას გაგდება ლევროვის! ჰო და მანდ თუ ეს ვაჟკაცობა ჩამიდენია, აქ რაღას ვიზამ როცა კრუგომ იარაღში ვზივარ! მოგიკვდეს აკოფა თუ გრუდი სულ რაზნოცვეტნი ლენტებით მორთული არ მოვიტანო. ტი ტოლკი ნი გარუი ი ნი ქიგაი მოი სერცა.

დასვიდანია მოი რაისკი სალავეი. ცალუიუ ტვოი სერებრენი ზუბი ი როზვი გლბი.

ტვოი ლუბოვნიკ მუე აკოფ მიკიჩიჩ ტერ-გულადიანც.

გოგია.

შარადა

შარადის წერა როგორც სჩანს
გადიქცა ახალ სენათა;
ვინც წაახელებს ყველა სწერს
მკითხველის მოსაცდენათა...

დღეს მეც შემიპყრო ამ სენმა
გასატანჯ-გასამწარადა
და არ მომცილდა სანამდე
არ შევთხზე მე ეს შარადა.

—

პირველი სიტყვა, რომელიც
შარადისათვის გვჭირდება,
სასიხლეს ნიშნავს უფლისას
(იკურთხოს იმის დიდება).

იქ უდგას ტახტი მეუფეს
გაცისკროვან-გაბრწყინვებული,
იქიდან მართავს, განაგებს,
ქვეყანას დამშვიდებული

ორი ასოსგან შესდგება
ეს სიტყვა ზე-ხსენებული,
მაგრამ ჩვენ გვინდა პირველი
მეორე იყოს გდებული.

—

ეხლა დავტოვოთ თფილისი,
პირი ვქნათ დასავლეთისკენ
(თუმცა მგზავრობას ამ დროში
წასვლა სჯობს ჯოჯოხეთისკენ).

იქ ვნახავთ მხარეს დიდებულს,
განთქმულსა ძველათ გმირობით,
(ეხლა კი მოტყუილებით
ყალთაბანდობით, ხრიკობით).

ამ მხარის სახელს წინიდან
მოვტაცებთ ოთხსა ასოსა
(ეგებ ვერ მიხვდით? იფიქრეთ!
ნუ წარიკვეთავთ სასოსა!)

—

მესამე სიტყვა მკითხველო
გულს შეუწუხებს მოვალეს
და მოაგონებს საბრალოს
კრედიტორს კარზე მდგომარეს.

განსაკუთრებით იგი დღეს
ძირს უთხრის სახელმწიფოსა
(რომელიც ომში ჩაბმულა,
სამხედრო ხარჯებს ითხოვსა).

თუ მიხვდით სრულათ ავიღოთ
ეს სიტყვა ორ მარცვლოვანი,
ხოლო რომ გახდეს ის ჩვენთვის
უფრო სრულ-მნიშვნელოვანი

ბოლო ასოს წინ ჩავასვათ
ჩვენ კიდევ ერთი ანბანი
ოთხისა გამომხატველი;
(და დასრულდება საგანი)

—

ახლა შეკრიბეთ ყველა ეს
შეაკოწიწეთ ფრთხილათა,
და გადიშლება თქვენს თვალ-წინ
ტურფა ქალაქი სრულათა.

იქ, ამას წინათ, (თუ გახსოვთ)
მოხდა საქვეყნო ყრილობა
(სად მეგობრული მსჯელობით
განკურნეს გულის ჭრილობა...)

იქ გაინასკვა ძაფები
ხალხთა კავშირის ძმობისა,
რომელიც ხმალმა გაჭკვეთა
მთესველმა შურის, მტრობისა.

ლონგინიუხ პოდბიპენტა.

სტუდენტის შობა.

გათენდა შობა დილა, ღმერთმა ბევრი გაგითენოს ჩემო მკითხველო. მე ვერც კი გავიგებდი შობის გათენებას, რომ სხვას არ მოეგონებია. ავდექი ჩვეულებრივ 12 საათზე, დავიბანე პირი, მივედი სარკესთან, გადვიქოჩრე თმა, ულვაშებზე ფიქსატურა გადვისვი, და სწორეთ ამ დროს შემოაღო კარები ჩემმა დიასახლისმა... (ეგებ კიდევაც გენახულებათ, სქელი რუსის ქალია) და დამიძახა:

— „სპრაზნიჩკომ გასპადინ სტუდენტ“-ო.

მე კი შიშმა ამიტანა. ძლივს ამოვიჩურჩულე „სპა..ა..ასიბო“ და იქვე სკამზე ჩავიკეცე. მომაგონდა, რომ სასადილოს „გამგეობა“ ერთი კვირის წინ აცხადებდა: „შობას სასადილო დაკლეტილი იქნებაო“. მე კი მისდა ეშმაკათ წინა დღეს ერთი რუსი ძღაბი გადამეკიდა ძველი ხვირჯინივით, ისე ამირია ტვინი, რომ სრულიად გადამავიწყდა შობაც და გამგეობის განცხადებაც და აი ამიტომ არც კალბასი და არც პური არ მომიმარაგებია. დარდს სიცივეც დაერთო. ვეეედრე დიასახლის და მალე ბუხარში ცეცხლი აბრიბილდა. ჩაუჯექი გახურებულ ფეჩს, მეც ავ-ილპილდი სახეზედ, ნამდვილ ვაჟკაცს დავემგზავსე. მაგრამ შიმშილით ისე იყო მიკრული ფერდი ფერდს, რომ თუ სული შეგებერა იქვე მოვადენდი ბრაგვანს. სხვა გზა არ იყო, თავი ოცნებას მივეცი: მომაგონდა სამი წლის წინათ შობა დღე! სახლში ვიჯექი ჩვენებთან ერთად. მშვენიერი საცივის სუნი ეზოშიაც კი გადიოდა. (სამჯერ დამმთქნარა) შემწვარ გოჭს ისეთი ტრაღიკული გამომეტყველება ჰქონდა, რომ უნებლიეთ აღძრავდა თქვენში „პირუტყვთა მფარველურ“ გრძნობას. ცხელი ღომი და წითელი ღვინო... ნასადილევს იქვე ჩემს სასიმამროსთან გადავედი, ჩემს „დუშკას“ ოლიას, ხელი მკლავში გაუყარე და ბალის გვერდზე გავემგზავრეთ სასეირნოთ. ყოველი კაცი ჩვენ, შე-

გვნატროდა: „ნეტავი თქვენ, ცხოვრება თქვენია“. ამ ფიქრებმა გული სევდით ამივსო. გადავსწყვიტე ისევ „სამოქალაქო უფლების“ ზუთვა. ხელში საათი დავიჭირე და ისე წამოვწექი, რომ გადაწყვეტილი დრო არ გამომპარებოდა. არ გაულია ორ წუთს, კიდევაც მიმეძინა. ვნახე მეტად სასიამოვნო სიზმარი:

შობა დილაა. ქუთაისში ჩავედი. დედა ჩემი კარებში გამომეგება, ერთი ათჯერ გადამკოცნა, სახლში შემიყვანა იქ ჩემი ძმაც დამხვდა. იგი კარგა ხანია საპრაპორჩიკოთ ემზადებოდა და კიდევაც გაპრაპორჩიკებულა, იმანაც გადამკოცნა, თან თავის „დენშჩიკი“ მანკოშე გამაცნო.

უცებ ჩემი ამხანაგები მიშა და ვალიკო მეწვივნენ. გავაწყვეთ სუფრა დედაჩემს მოვატანინე ცხონებული ფირანას ნაანდერძევი უზარმაზარი ყანწები: შეუდექით მოლხენას. შეგვიჯდა ღვინო თავში, რაღაც ეშმაკათ ვალიკოს ერთი გლახა ჩვეულება აქვს: როცა შეთვრება მაშინ დაგიწყებს კამათს ან პოლიტიკაზე, ან ეროვნულ საკითხზე: სწორეთ ეხლა მოგონდა „ღრიზონში“ მოთავსებული წერილი. მიშას ბრაზი მოდიოდა და კიდევაც სთხოვა თავი დაენებებია ამ უსაფუძვლო საუბრისათვის. ვალიკომ თავისი არ მოიშალა. ბოლოს მიშას სისხლი ყელში მოებჯინა და ერთი ისეთი სთხლიშა ვალიკოს რომ სამჯერ შეაბზიალა. წამოვარდი სუფრიდან. ყანწს ხელი უშვი, მაგრამ რამ ვაი ამისანის წამოვარდნას, ლოგინიდან ისეთი ბრაგვანი მოვადინე, ისე ლონივრად დავკარი თავი ძირს, რომ ეხლა ნამდვილ „იმერეთის“ „ეროს“ მოგაგონებს იგი. ყანწის მაგივრად ჩემი საათი სულ მტვრად მიქცევია.

რასაკვირველია ჩემი ძირს ნაბრეგი თავი „სამოქალაქო უფლებისთვის“ აღარ გამოდგებოდა. გავემგზავრე ისევ დარდების გასაქარვებლად ვალიკოსა და მიშასთან. ისინიც ჩემებრ წამოწოლილიყვენ და ჭერში ბუზებს ითვლიდენ. მიულოცე შობა და საქმელი მოვთხოვე. ვალიკომ ხელი უჯრისკენ მიმითითა და თანაც წაილაპარაკა: (ვალიკო რაქველია) „აი აგერ არის გამზმარი „პურუნა“, მაგრამ პური რა საქმელია“. მე გამეხარდა და მიშას მივაძახე:—არიქა მიშა „პურუნა“ თუ გვაქვს შენ ერთი „ღრაფინა წყალუნა“ მოიტანე, მხოლოდ ცეცხლზე კი შეათბე, და „სადილუნა“ გვექნებათქო. მართლაც ისე მოვიქეცით, და მშვენიერ სადილს გიახელით, ზედ ტკბილი მრავალ ჟამიერი დავაყოლეთ, თამარ მეფეც კი წავიყვანეთ მოწამეთას, სალამურსაც გულში ჩავსწვდით, და ისე შევქეიფდით, ჩემო მკითხველო, რომ მას შემდეგ მესამე დღეა ფეხზე ველარ ვდგებით.

სტ. ხ. მახვილაძე.

გ ა მ ო ც ა ნ ა

(ბათუმისათვის)

„სოდერჟატელი“ „გოსტინეცის“
ბათუმში კარგათ ცნობილი,
ზოგიერთ „საქებ“ საქმეში
გარწთვნილი გამოწრთობილი.

„ოფიციანტთა“ ჩაგვრაში
იმას არა ჰყავს სწორია,
მასავით მოხერხებული
ბათუმში არც თუ ორია!

თვით მაღაზიას განაგებს,
საქმეში გამოცდილია,
მხოლოდ სასტუმროს წესრიგი
ძმაზე აქვს მინდობილია.

ოთხი თვის წინეთ ზარალი
წყლებიდან გამოწვეული
მკითხველსაც ახსოვს ამგვარის
ხალხი არ იყო ჩვეული...

ეს ჩვენი გმირიც მის მსახურთ—
მიმართავს: ჰქენით კრებაო
და დაადგინეთ, საწყალ ხალხს
სჭირია დახმარებაო.

დაზარალებულ ხალხისთვის
უნდა გიძგერდეთ გულიო,
ერთმანეთ შორის შეკრიბეთ,
მათ სასარგებლოთ ფულიო.

ამ საქმისათვის ეცადეთ
არავინ არ სთქვა ვარიო,
გაზეთში ჩაიბეჭდება
თქვენი სახელი გვარიო.

ბიჭებმაც ხელათ შეკრიბეს
სულ ას თვრამეტი ქანქარი,
წყლისაგან დაზარალებულთ
აღმოუჩინეს საღსარი.

და ჩააბარეს „ხაზეინს“
მიიღე მიითვალეო
და სადაც ჯერ არს გაგზავნე
იკისრე, დაგვავალეო.

აღამ ბიჭები შეაქო

„ლაშქართა“ მოგრეოვება.

მუშა (დამთვრალი). ჩვენ წიაინეთაც ერ...თ... ო...

თევდ. ლლონტი. აბაა, ძლიერ სასიამოვნოა, თქვენ წინეთაც ეროვნული მიმართულებისა ყოფილხართ...

—ყოფილხართ გამოცდილიო,
სამი დღის შემდეგ იქნებით
გაზეთში ჩაბეჭდილიო.
„ოფიციანტებს“ იმ დღიდან
მოსდით გაზეთი ქართული,
და კითხულობენ,—(კითხვაში
არიან ძრიელ გართული).
ეძებენ მარა ვერ ნახეს
გაზეთში ჩანაწერია,
შესწუხდნენ ჩვენი მკითხველნი,
აღშფოთდნენ თქვენი მტერია.
დაფიქრდენ: გრიგოლ, არტემი,
იასონ, საშა დავითო,
სთქვეს თუ რაცა გვჭირს ძმანებო
სუყველა ჩვენი თავითო.
გულ მოსულებმა ხაზეინს
აახლეს ორი კაცია,—
ცოტა ხნის შემდეგ ამ ამბით
დაბრუნდა დეპუტაცია:
აბა რას ცხარობთ გენაცვა,
ან რაზე მოგდით გულიო,
აღას ის ფული ჯიბეში
ჰქონია შენახულიო!
თქვენ კი გიბრძანათ:
—არ შეცდეთ არვისთან გაამხილოთო
თორემ სულ ყველას დაგითხოვ,
დარჩებით უადგილოთო.
და რაკი აღას სჩვევია
ფულების შეცმაცუნება,
არ აწყენს ვგონებ ეშმაკო!
მათრახის წატაცუნება?

ისკანდერ.

„მოლაშქრეთა“ შეკრება.

თევდ. ლლონტი. არ გინდა რას მიქვია, ძალათ შემოგათრევ!
მუშა. მიშველეთ.

ნიკო და ბიკო.

(ლანჩხუთდგებს)

ნიკო. გამარჯობა ბიკო!
სიით მიიჩქარი?
ახალი რაიმე,
მოიცა მითხარი.
ბიკო. რატომ გითხრა ძმაო,
რათ გატკინო გული?
ხომ იცი წავიდა
ჩვენი ბოქაული?
ნიკო. უ! რას ამბობ ბიკო!
რატომ წაიყვანეს?
ბიკო. ალმატება მისცენ
და გადაიყვანეს.
ნიკო. კარგს და პატიოსანს
გაუმარჯოს ყველას
ბევრჯელც აგვაშორა
ძმაო ხათაბელას.
ბიკო. ჩვენ რო გვწყინობს მესმის,
კიდეც გვმართებს მარა,
ზოგმა გოგოებმა
ცრემლი რო დაღვარა,

რადა ტირებდათ,
რაღამ გაამწარა?.

ნიკო. ტყვილა მეკითხები
თუ არ ნუტა
რომ მან ბევრი დინჯი,
ქალი ააცეტა?
უფრო კი ის პატივს
სცემდა „პრიზის“ ქალებს
(ან ვინ გაუძლებდა
ძმაო იმის თვალებს)

ბიკო. ვიცი ეხლა, ვიცი
ყოველივეც მჯერა
ის კი არა ვიღაც
მეგრელი ვენერა,
ხშირათ იყო მასთან,
ბევრჯერაც გამაშტერა.

ნიკო. ბოქაულის ძმაო,
ვენერა იგია,
ნათესავი იყო,
როგორც გამიგია.—
ესეც გაიგონა
ამ ცოდვილმა ყურმა —
ჩიბათში ჩასწვაო
ერთმა აზნაურმა...

ბიკო. ამ ოხრების ამბავს
დავანებოთ თავი;
შენ ხომ იცი ნიკო
დიმიტრას ამბავი,
„უჩიტლების“ ცემით,
რომ ინჯაყვა მკლავი?

ნიკო???

ქიხტუმ.

მოხსენება ხონიდან

I

თქვენო უეშმაკეულესობავ, მპყრობელო ჯოჯოხეთისა და მეფეთ მეფეო სრულიად საეშმაკეთისა. მივიღე რა თქვენი ბრძანება შესახებ ჩემი ხონში შენს მოადგილეთ დანიშვნისა, დაუყოვნებლივ გავსწიე სახელგანთქმულ დაბისაკენ; ელვისებურის სისწრაფით მივქროდი, მიუხედავათ მრავალგვარ დაბრკოლებათა: გადავლახე თავხედობა ქუთაისიდან ხონში მიმავალ მეეტლეთა, გაბედულათ გავსცურე ქუთაისის გზაზე ხონის შესავალში მდელვარე ტალახის ტბა და შევიჭერ ქალაქში.

კვირა დილა იყო. მხოლოდ ზოგიერთ სავაჭროთა კარები იყო მოღებული და ისიც ქურდულად. ადგილობრივ ჩარჩ-სპეკულიანტთა უმრავლესობა სავაჭროთა წინ იყვნენ აქა-იქ შეჯგუფულნი და გაცხარებით ბჭობდნენ თავიანთ საქმეებზე. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ჯგუფმა, რომელიც გასტრონომიულ მაღაზიის წინ იდგა. მე უჩინრად მიუახლოვდი ამ ჯგუფს და იქვე სვეტს ავეტუზე. სპეკულიანტთა შუაში ჩამდგარიყო ერთი მაღალი და სარსავით წვრილი სიკვდილის მზგავსი არსება. ყველაზე მეტს ეგ უკანასკნელი ცხარობდა.

— მომხმარებელი უმადურია, ამტკიცებდა ეგ სიკვდილამე,—იგი მადლიერი არასოდეს არ იქნება. ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით ვშოულობ საქონელს, რათა მათი მოთხოვნილება დავაკმაყოფილო, სანოვაგე და სხვა საქონელი არ მივაკლო, მაგრამ მათი გული მაინც ვერ მოვიგე.

— კოჩაღ, რა გულკეთილი ვინმე ყოფილა მეთქი, გავიფიქრე გულში და აღმეძრა უძლიერესი სურვილი გამეგო მისი ვინაობა. ფეხ აკრეფით მივედი შორი-ახლო მდგომ ახალგაზრდასთან და შევეკითხე.

— გეტყობათ, რომ აქაური არ ბრძანდებულხართ, მომიგო მან და თავიდან ფეხებამდე ამათვალიერა.

— მე ჩამოსული გახლავართ.

— ეგ გახლავთ ადგილობრივ სპეკულიანტთა მეთაური, სანოვაგისა და ყოველ გვარ საქონლის ფასების კანონმდებელი; სახელად მას ერისტო ეწოდება, გვარით კი ჭავჭანიძეა.

უცნობ ახალგაზრდას მადლობა გადაუხადე და ისევ ბ-ნ ჭავჭანიძისაკენ მივაპყარ სმენა ჩემი.

— მერე რა უყოთ,—გაცხარებით განაგრძობდა ბ-ნი ერისტო,—ხომ მე სულ ერთიანათ გავასაღე, რაც ამ ათი-ხუთმეტი წლის განმავლობაში უვარგისი საქონელი დამიგროვდა? განა მე შევეხვეწე მომხმარებელს აუცილებლათ იყიდეთქო?.. ან რათ უნდა ჩამეთვალოს ცოდვათ თუ ზოგჯერ მანეთიან საქონელში სამი და ოთხი მანეთი ავიღე?! ვაჭრობის წესი ასეთია: ხან მეტს აიღებ, ხან ნაკლებს. არა, ბატონებო, მომხმარებლის წუწუნს მე ანგარიშს ვერ გაუწევ, მე მწამს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ჯიბის ინტერესები და მას კიდეც ერთგულათ ვემსახურები. ღმერთმა ააშენოს ამ ომის მომგონ-დამწყები; ომი რომ არ წამომწყოდა გასაპარავათ ვიყავი, ახლა კი...

ამ დროს გასტრონომიულ მაღაზიიდან გამოვიდა მეორე აყლაყუდა, ეგეც სიკვდილის ნამდვილი „პორტრეტია“: ძვლების ჩონჩხზე დაშენებულ მაღალ წვრილ კისერზე აკოსია პაწაწკინა თავი; სახეს „უმშვენებს“ ღრმათ ჩაცვენილი კატისებური ჭრელი თვალები.

— ეგ ვინ უნდა იყოს? ისევ შევეკითხე უცნობ ახალგაზრდას.

— ეგ ადგილობრივ „მამულიშვილთა“ ლიდერია; ეს გასტრონომიული მაღაზია მაგისია; სპეკულიანტობაში სხვებს არც მაგი ჩამოუვარდება, მხოლოდ სხვებზე უფრო ფრთხილი და მოხერხებულია; მასიკო ჭელიძე თუ გაგეგონებათ, სწორეთ ეგ გახლავთ.

— აბა წავიდეთ, დროა!.. გადასძახა ბ-ნმა მასიკომ იქ მდგომ ჯგუფს და მოშორებით მდგომ სხვა ჯგუფებს გასჭვრიტა. იმათაც ანიშნა თვალით დაძრულიყვნენ ადგილიდან; თვითონ, ვითარცა სარდალი, თავ-აშვერილი გაუძღვა წინ, მას გაყვა ხონელ სპეკულიანტთა ლაშქარი.

გადავწყვიტე უკან გავყოლოდი სალაშქროთ მიმავალ „მამულიშვილთ“. მიდიან, მეც შორი ახლო მივყვები. აჰა, დაიწყო სამტყრედიაში მიმავალი გზა, „სარდალმა“ მარცხნივ ეზოში ჩაუხვია, მას მიყვა მთელი ლაშქარი.

— ნეტავი აქ ვინ უნდა სცხოვრობდეს, ვიკითხე ეზოს კარებთან. გავიგე, რომ იქ ხონის საზოგადო საკრებულო ყოფილა, რომელშიაც წ. კ. ს. ადგილობრივი საზოგადოების წლიური კრება დაუნიშნავთ. მიამა,—რამეთუ ძალიან მიყვარს კრებებზე დასწრება—და შევუხვიე.

კარგი ხნის ლოდინის შემდეგ კრება გაიხსნა. გავძვერი ხალხში, მივეკედლე უკანა კუთხეში და კრებას გადავხედე,—იქნებ ვინმე ნაცნობი დავინახოთქო. წინ დადგმულ მაგიდასთან, რომლის ირგვლივ გამგეობის წევრთ მოეკალათებიათ, შევნიშნე ერთად ერთი ნაცნობი—ექიმი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, ისიც გამგეობის წევრი ყოფილა. იგი მრისხანების გამომხატველის სახით სათვალეების ზევიდან გაჰყურებს კრებას. უკანასკნელის გვერდით თავმჯდომარე ზის. ვეკითხე მისი ვინაობა; „მათე ბახტაძე არის—ადგილობრივი ექიმიო“, მიპასუხეს. იგი კრებას ყრუ ხმით მიმართავს, აქა-იქ ენა ებმება, ლაპარაკობს არეულათ და გაუგებარის ენით. გულდასმით და დაკვირვებით ვუსმინე, მაგრამ ვერაფერი გავიგე, მეგონა უცხო ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო მაკვირვებდა ის, რომ აქა იქ ქართულ სიტყვებსაც გამოურევდა ხოლმე. შეუდექი თარჯიმანის ძებნას. უცნობმა, რომელსაც მე ვთხოვე ქართულ ენაზე გადმოეთარგმნა ბ-ნ თავმჯდომარის ნალაპარაკევი, ღიმილით მიპასუხა:

— გეტყობათ თქვენ ხონური ქართული არ გცოდნიათო“—და განაგრძო: „თავმჯდომარემ განმარტა, რომ წევრობა ერთმევა იმ პირთ, რომელთაც საწევრო ფული არ შემოიტანეს საანგარიშო წლის დამლევამდე; ამ მოსაზრებით გამგეობას წევრთა სიაში არ შეუტანია ის წევრები, რომლებმაც საწევრო ფული შემოიტანენ არა საანგარიშო წლის განმავლობაში, არამედ შემდეგი წლის იანვარში, თებერვალში ან კიდევ შემდეგ“.

თავმჯდომარეს უპასუხებს ახალგაზრდა ყმაწვილი (როგორც გადმომცეს ივანე ჭავჭანიძეთ წოდებული), რომელიც წინააღმდეგს ამტკიცებს; დასამტკიცებლათ იგი კითხულობს წესდების 10 და 11 მუხლებს. მოვისმინე რა ეს მუხლები, დავრწმუნდი, რომ თავმჯდომარე და მასთან ერთად მთელი გამგეობა წესდებას არ ნაცნობა. ამ გარემოებამ ერთიანათ ამანთო, ბრაზი მომგვარა და ის იყო მზათ ვიყავი მეძრო თქვენ მიერ ნაბოძები მათრახი, მივვართნოდი გამგეობის ამ დაუდევარ წევრთ და მათთვის ზურგები ამეჭრელებია, მაგრამ დროზე ვსძლიე მღელვარება და თავი შევიკავე, თუმცა კრებაზე თანდათან ძლიერდებოდა შფოთი.

გამგეობა თავის პოზიციაზე მაგრათ იდგა, მას ზურგს უმაგრებდა სპეკულიანტთაგან შემდგარი ავანგარდი ბ-ნ მ. ჭელიძისა და ბ-ნ ერ. ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით. ოპოზიცია გაბედულათ ეკვეთა მათ, მაგრამ ამათ: იერიში მოიგერიეს

სპეკულიანტთა ღრიალით და თავმჯდომარის წყალობით, რომლის პრინციპი ყოფილა მოწინააღმდეგეს პირში ბურთი ჩაჩრას, დანარჩენებმა კი თუნდაც ზღაპრები, ან პოლიკარპისებური (ექ. ჩხიკვიშვილი) აბდა-უბდა ილაპარაკოს. რია-რიალში და ჩოჩქოლში ჩატარდა სარევიზიო კომისიის მოხსენებაც, რომელმაც ნათელყო, რომ გამგეობა მთელი წლის განმავლობაში ერთგულ დარაჯათ სდგომებია უმოქმედობას. ამ „სამსახურისთვის“ სპეკულიანტთა კრებამ გამგეობა დააჯილდოვა ხელახლავ არჩევით, რის შემდეგ ჩასწერეს ახალი წევრები და დაიშალენ.

ამ კრებაზე თქვენი უეშმაკეულების მოადგილის ყურადღება მიიპყრეს თავმჯდომარემ, ექ. მ. ჩხენკელმა, კრების მდივანმა პიჭიკო ქუთათელაძემ, ეკ. ბახტაძისამ (რომელიც უეცრივ „ავათ გახდა“ და სახლისკენ მოჰკურცხლა) და მ. ჭელიძემ. ყველა ესენი ითვლებიან ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეებათ. მე გადავწყვიტე სათითაოთთ ყველას ინტერვიუ გაუკეთო და მოვახსენო თქვენს უეშმაკებულესობას.

თქვენი უეშმაკებულესობის მოადგილე ხონში

აბი.

დეპეშები.

ხიდიხთავი. (გურია)

ვინაიდან „მარქსის“ ნაწარმოებში ვერავინ აღმოაჩინა კარტის თამაშის თეორია, ამ საგანზე ლექციის წაკითხვა უკისრია ზოგიერთ აქაურ ხალხის გულშემატკივრებს. ლექციის შინაარსი ასეთია: 1) რა სარგებლობა მოაქვს კარტის თამაშს საერთოთ. 2) როგორ უნდა ჩაწყობა კარტს. 3) რა სარგებლობა მოაქვს ჩაწყობას. 4) როგორ უყურებს საზოგადოება მოთამაშეებს და 5) როგორია მათი გავლენა ხალხზე. ბილეთები იყიდება მ—სან, ფასები ჩვეულებრივია. ლექტორების ვინაობა და აუდიტორთა ცალკე იქნება გამოცხადებული.

ოქიდანვე—ბასილეთის საზ. მამასახლისი რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას: „სოფლის მასწავლებლები და მათი შრომის ფასი“. შინარსი: 1) ვალდებულია თუ არა მამასახლისი თავის დროზე მიაწოდოს მასწავლებლებს ჯამაგირი? 2) თუ მან აღებული ფულები „სხვა“ ანგარიშებში გადაბანდა და თავის დროზე ვერ მიაწოდა, არის თუ არა დანაშაულობა და თუა ვისი? და 3) რა გავლენას ახდენს მასწავლებლებზე ისედაც მცირე ხელ-ფასის თავის დროზე აუღებლობა ბავშვების სწავლა-აღზრდის (აქ ფართოთ შიეხება კითხვას) საქმეში, და იქნება თუ არა მათი შრომა ინტენსიური? ლექტორის სურათი და ბიოგრაფია ცალკე იქნება გამოცხადებული.

მ—ფ—ე.

—

ონტოფო.—წმინდა ბარბარეს კარის ეკლესიაზე საგაზეთო ამბავი მოხდა. ეკლესიისათვის შენაწირავ თხას ღამით ვიღაცა რეგვენი შეეფეთა, მღვდელი ეგონა და ეამბორა, მაგრამ... ვაი ასეთ ამბორს, თურმე საბრალო ცხოველს ცხვირი მთელად მოაჭამა. ამბობენ ეს საარაკო საქმე ვიღაც მღვდელმა ჩაიდინაო, მაგრამ ეს ხმა ჩვენ საეჭვოთ მიგვაჩნია, ვინაიდან მღვდელი თხაზე არ შეცდებოდა.

ხალხში კი ქველმოქმედების ხალისი თანდათან იზრდება. იმავ ეკლესიაზე წითელი ჯვრის ყუთში იმდენი ფული ჩაუყრია ხალხს, რომ ყუთს ფსკერი გავარდნია. ფსკერი იპოვეს, შენაწირავი კი ვერა. ფიქრობენ საეკლესიო ბეჭედმა გაიტაცაო, რადგან იმავ დღიდან ბ-ნი ბეჭედი სადღაც მიიმალა.

მართალია წითელი ჯვრის ყულაბიდან ფული სადღაც გაიფლანგა, მაგრამ ადგილობრივი მღვდელი ქვანია მაინც ცნობილია როგორც სტატისტიკოსი. მან გამოიკვლია, რომ სამეგრელოში დამშეული მხოლოდ მისი ოჯახია, რომ სხვებს სამსამი წლის სარჩო გადამალული აქვთ და ამიტომ სთხოვა მთავრობას პოლიციის დახმარებით მოუგროვონ დრამის ფული.

—ხანი.

მოხსენება

დ. ონი, (რაჭა).

ერთხელ ვიყავ დაბა ონში,
როცა სოფელი ყრილობდა,
კაცსა ეძებდენ ასარჩევს
ხალხი ხმა მაღლა ყვიროდა.

იძახდენ: „ისევ დათიკო
სადეპუტატო კაცია,
ხედავთ პატარა დუქანი
დიდ მაღაზიათ აქცია!“

ზოგი კი უპასუხებდა:
ისემც თქვენ აგაშენაო,
რადგანაც თვითონ გამდიდრდა
დუქანი დაიმშვენაო.

ის მხოლოთ თავის საკუთარ
საქმისა არის მქნელიო,
რაც უნდა იმას აკეთებს
არა ყავს სიტყვის მთქმელიო.

დეპუტატობის ხანაში
ფეხი გაიდგა მაგრადო
საყაყანოთ და საჩხუბრათ
ურჩების დასაჩაგრადო.

შეავიწროვა ყანთარი,
ახლოს ვერავინ წაადგა
საყასბოს შემოსავალი
არ ვიცით რა გზას დაადგა.

როცა ყანთარზე ჩალვადრის
ცხენებს საპალნეს ხსნიანო,
დაღლილმა ცხენმა რაღა ქნის
შხეფი ხორცზედა სცვიანო.

ყასბებიც ჯირკვებს და ხირხებს,
რომელთ სისხლ-ქონი სცხიანო
ერთად ძვლებთან და წელებთან
ეზო-ქუჩებში ყრიანო,

მასზე ძაღლები ჩხუბობენ,
ერთმანეთს ტყავსა ხდიანო
სტოლებს და ხორცის საჩეხებს
ხრავენ და ფეხით სვრიანო,

მაგრამ ხელ ახლა ბაზრობას
არც გასწმენდ-გაფხეკიანო
და ისევ უსუფთაოზე
ხორცებს სჩეხენ და სჭრიანო.

თუ რამე უთხარ გეტყვიან:
„მაინც კი მიირთმიანო“
ან იმას ვინღა კითხულობს,
თუ ნიხრი რასა ქვიანო.

—

ეხლა მიტომ ავირჩიეთ
ჯანუაშვილი ატუა,
ბევრს კაი რამეს გვპირდება
თუ მანაც არ მოგვატყუა.

მის თანაშემწეთ „ნიაზო“
თეთრი წვერი აქვს და ქკუა
რიყეზედ ქვას არა სტოვებს
ეროს თუ შეურჩა ყუა.

ის ძველათ ვაჭარი იყო,
მაგრამ შემდეგ მიატუა,
რადგან დიდ ვაჭრებს ფართალი
ნისიათ ველარ დასტყუა.

მის მეორე თანაშემწედ
ბერუჩოვი დავითუა,
ის არავის არ გეგონოს
შეუგნები მუნამ ყრუა
უყვარს დიდი ლაპარაკი,
მთელი კრება გააყრუა.

კრიჭეში.

—

გუდაუთა. გუდაუთში ცხოვრება
ერთობ ჭანდრაკულია;
ისევ ის იჩაგრება,
ვინც რომ დაჩაგრულია.

მოუთმენლათ ველოდი:
ეშმაკისგან მზვერავსა!
მაგრამ არვინ გამოჩნდა
ვაი ამ ჩვენს წერასა.

ნუთუ ჯარი ტყვეთაა
ეშმაკთ მონათესავის
და შემცირდა რაზმები
ჯოჯოხეთის მოთავის?

—

აქ მცხოვრები ბევრია
მუშა, „პოდრაჩიკები“
ქართველი და სომეხი
ბერძენი თუ რუსები.

სულყველა „პოდრაჩიკობს“
ვაი მუშის ბრალია.

ვინ არ გინდათ არ იყოს,
მმართველი:
სომეხი თუ ბერძენი,
ფრანცუზი თუ ქართველი!
ყველა საქმეს ღებულობს,
სიხარულით აღვსილი
მიკიტანი, დალაქი,
ვაჭარი თუ ვექილი...
დაბის დეპუტატებზე
ხალხი რაღაც ყაყანებს,
და თუ კი გამოცვლიან
არავინ არ ინანებს.
თითეული ნოქარი
თვრამეტ საათს მუშაობს,
„შეგნებული“ ხალხია,
დაღლილობას ვერა გრძნობს.
ორ ჯგუფად გაყოფილი
სცენის მოყვარეები,
ახლა შეერთდენ ძლივსღა
ერთად არ სახმარები.
სამკითხველო არა გვაქვს
წიგნი არ გვეშოვება,
ბერძნები თუ გარეკეს *)
ვაი რა გვეშველება.**)
ასე არის აქ საქმე
და მათრახი გვჭირია
დროზე თუ მოგვაშველებთ
გაჭკრეს გასაჭირია.

მ. ხევის-პირელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

„ეშმაკის მათრახის“ მე 28 ნომერში მოთავსებულია დეპეშა ს. აცანიდან ბ. ჟ-ნს ფსევდონიმით, რომელშიაც ბ. ჟ-ნს გამოვყავარ უსახელო წერილების ავტორად და მკლავაძედ. ვინაიდან წერილი სიმართლეს მოკლებული არის, ბ. ჟ-ნმა დაუმსახურებული სახელით მომნათლა და შეურაცხყო ჩემი პიროვნება. ვსთხოვ ბ. კორესპოდენტი გამომყვეს სამედიატორო სამართალში და დამიმტკიცოს უსახელო წერილების ავტორობა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მტყუანმა მხარემ გადაიხადოს ჯარიმად ოცი მანეთი. ათი მანეთი აცანის სამკითხველოს სასარგებლოთ და ათი მანეთი განსვენებული პოლა ლომთათიძის სახელობაზე დაარსებული ფონდისათვის. ვადას ვაძლევ ორ კვირისას დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა. დაასახელოს თავისი მედიატორები და მე ჩემს მედიატორებს დავასახელებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მივმართო სხვა საშვალებას.

ნოე მგელაძე

დიდიჯიხაიშის ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებლებს.

დიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენ წინადადებას „ეშმ. მათ“ № 28.

ჩვენში უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის გახსნის წინააღმდეგი უმთავრესათ მასწავლებლებში იყვნენ და ხალხშიდაც მაცადინობდენ, რომ განაჩენი არ დაედგინათ სერგო ივანეს ძე ლოლობერიძე და ილია მოსეს ძე ქუთათელაძე. შრომამ უნაყოფოთ ჩაუარათ და ხალხმა სექტემბრის პირველ რიცხვებში ბ. სახალხო დირექტორის თანადასწრებით დაადგინა განაჩენი და ექვს ოქტომბერს სწავლაც უკვე დაიწყეს. აი ეს ფაქტი მქონდა აღნიშნული „ეშმაკის მათრახში“ № 26 თუ მოისურვებთ მზად გახლავარ დაგიმტკიცოთ.

ისარი.

ფოსტა

გ. მთიელს. გაგვაგებინეთ თქვენი სახელი და გვარი, ხოლო შემდგომ ამისა აგვიხსენით ისიც, თუ რა საგანზე გსურთ წერა.

ამბაკო მღვდელაძეს. თქვენს საახალწლო ლექსს ასეთი კუპლეტით იწყებთ:

„პატიოსნების შუბით და ხმალით,
მუხრანის ხიდთან ვნახე აშულნი,
ეხლა ვულოცავ ვითა ქვემძრომებს,
არც ძველი აზრი დრო გადასული“.

შემდეგში მაინც ერიდეთ მუხრანის ხიდთან სიარულის.

სამტრედს. თქვენი ლექსი „ძმური სალამი“ ასე იწყება:

„ოცდახუთ ვერსით დაცილებულმა,
ხელში ავიღე, ძმაო კალამი“.

ეს რაღაც სიმართლეს არა ჰგავს: თქვენ მეტით უნდა იყოთ დაცილებული.

---

*) ყავახანას დაკეტვენ
**) ნარდი აღარ გვექნება.

მიიღება ხელის-მოწერა 1916 წლისთვის.

ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. ვ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვეთები და სხვა.

✦ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)



*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ
✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

თევდ. ღლონტი. შენ ოღონდ დასწერე რამე თქვენი ქარხნიდან ჩვენი „ზვირთისთვის“...
გონორარი რამდენიც გინდა... შენი ჭირიმე...

მუშა. რა უნდა დავწერო, წერა არ ვიცი...

თევდორე. სულ ერთია, მერე ჩვენ გადავასწორებთ.

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა“ რედაქტორ-გამომც. თეოფილე ბოლქვაძე.